# მოდული 08

## ნარატივების და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების როლის გაცნობიერება ძალადობრივი ექსტრემიზმის სფეროში

**ადაპტირებულია საქართველოსთვის**

Hedayah
countering violent extremism
SEARCH FOR COMMON GROUND
GCSD

როდესაც თქვენს ცხოვრებაზე **დაფიქრდებით**, ამჩნევთ თუ არა თქვენი პოლიტიკური, რელიგიური თუ ეთიკური შეხედულებების **ცვლილებას**? რამ განაპირობა მათი შეცვლა?



# **ნარატივები** - იდეების, ფაქტების, პერსპექტივების და გამოცდილების ერთობლიობა, რომელიც გვამცნობს, თუ როგორ აღიქვამს ინდივიდი ან ჯგუფი საკუთარ ადგილს გარშემო არსებულ სამყაროში.

ნარატივებში ისტორიული სინამდვილის ელემენტები და გამოგონილი ამბები ერთმანეთს ანაცვლებს;

ისინი შეიძლება გადაიკვეთოს ადამიანების მხრიდან საკუთარი თავის აღქმასთან ან თავიანთ ცხოვრებაში სხვადასხვა მოვლენის აღქმასთან;

ნარატივები შეიძლება იყოს პოზიტიური ან ნეგატიური და მოქმედებდეს ადამიანის გამოცდილების ბუნებრივი ნაწილის სახით.

# როგორ **იყენებენ** ძალადობრივი ექსტრემისტები ნარატივებს?



# როგორ შეიძლება ნარატივების **ეფექტიანად** გამოყენება რადიკალიზაციის ან გადაბირების **პრევენციის** ან **ჩამოშორების** თუ დერადიკალიზაციის ხელშეწყობის მიზნით?



# **ძალადობრივ ექსტრემიზმთან** გამკლავებასთან დაკავშირებული ნარატივების კატეგორიები:

ალტერნატიული ნარატივები: ისინი ეჭვქვეშ აყენებს ძალადობრივი ექსტრემისტების ნარატივების საფუძვლიანობას და გვთავაზობს პრობლემების გადაჭრის უფრო ეფექტიან და არაძალადობრივ მიდგომებს, აგრეთვე მათი აღმოფხვრის მიდგომებს.

კონტრნარატივები: პირდაპირ უპირისპირდება ძალადობრივ ექსტრემისტულ ნარატივებს, უარყოფს და ახდენს მათ დისკრედიტაციას; წარმოაჩენს ძალადობრივი ექსტრემისტების იდეოლოგიაში, თეოლოგიაში არსებულ ხარვეზებს; ჩარჩოში აქცევს კონფლიქტს ან ადგილობრივ პრობლემებს; სააშკარაოზე გამოაქვს მათი სიცრუე და ფარისევლობა.

მთავრობის სტრატეგიული საკომუნიკაციო საშუალებები: ძირს უთხრის ძალადობრივი ექსტრემისტების ნარატივებს მთავრობის მიერ განხორციელებული ქმედებების და პოლიტიკის იმგვარად ახსნითა და წარმოჩენით, რაც გამორიცხავს ცრუ ინფორმაციას და გაურკვევლობას.

# **ვიდეორგოლი 19** | შენ ჩემი ვაჟი ხარ




**მომზადებულია:** MULLENLOWE GROUP-ის მიერ კოლუმბიის თავდაცვის სამინისტროსთვის
**ორიგინალი ბმული:** https://youtu.be/qYrofD8I1-k
**ვიდეორგოლი, ქართული თარგმანით იხილეთ აქ:** https://drive.google.com/file/d/1sEnzv3MD8MkT4WXj0CoPNb8QZOmDiGzk/view?usp=sharing

# სადისკუსიო შეკითხვები

1. თქვენი აზრით, რამდენად წარმოადგენს ზემოაღნიშნული კამპანია კონტრნარატივის, ალტერნატიული ნარატივის ან მთავრობის სტრატეგიული საკომუნიკაციო საშუალების მაგალითს? ხომ არ შეიცავს იგი რამდენიმე ელემენტს? დადებითი პასუხის შემთხვევაში, მიუთითეთ, რომელ კატეგორიას მიეკუთვნება შესაბამისი ელემენტი და რატომ?
2. რა იყო კამპანიის მიზანი?
3. ინ იყვნენ კამპანიის გზავნილების მთავარი ავტორები? რამდენად წარმოადგენდა ეს კამპანია თანამშრომლობის მაგალითს?
4. ჩამოთვალეთ ამ კამპანიის სხვადასხვა ფორმატი.

წარმატებული იქნებოდა თუ არა კოლუმბიის კამპანია, მის ფარგლებში ყურადღება რომ არ **გაამახვილებინათ** დედებზე? განმარტეთ, დადებითი და უარყოფითი პასუხის მიზეზები.



# სახელმძღვანელო პრინციპები **ეფექტიანი** ნარატივების კამპანიის განხორციელებისთვის

**1.** ძალადობივი ექსტრემიზმის შესაბამისი მამოძრავებელი ფაქტორების გააზრება და შეფასება;
**2.** სამიზნე აუდიტორიის განსაზღვრა;
**3.** ძალადობრივი ექსტრემისტების იმ მკაფიო ან ფარული ნარატივების იდენტიფიცირება, რომელთაც შეიძლება გამოხმაურება ჰპოვონ სამიზნე აუდიტორიაში;
**4.** კამპანიის მკაფიო მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა;
**5.** ეფექტიანი გზავნილების ავტორების განსაზღვრა;
**6.** გზავნილების შინაარსისა და ლოგიკის შემუშავება;
**7.** გზავნილების გავრცელების ფორმატის განსაზღვრა;
**8.** გზავნილების გავრცელების სტრატეგიისა და შესაბამის ქმედებებთან თუ პროგრამებთან დაკავშირების მეთოდების შემუშავება;
**9.** კამპანიის ზემოქმედების შეფასება და ანალიზი;
**10.** კამპანიის საჭიროებისამებრ კორექტირება და მისი განხორციელების გაგრძელება, აუცილებლობის შემთხვევაში.

# **ვიდეორგოლი 20** | კომპანია „ZAIN“-ის რეკლამა, მიძღვნილი რამადანის თვისთვის




**მომზადებულია:**
კომპანია ZAIN-ის მიერ
**ორიგინალი ბმული:**
https://youtu.be/U49nOBFv508
**ვიდეორგოლი, ქართული თარგმანით იხილეთ აქ:**
https://drive.google.com/file/d/1ZD0H-J8eNhRJpebhLvvw-toaOaQfrmTe/view?usp=sharing

# **ვიდეორგოლი 21 |** ინდონეზიაში ტერორიზმის მსხვერპლთა უფლებების და შესაძლებლობების გაფართოება




**მომზადებულია:** ინიციატივის „THE VICTIMS' VOICES" ფარგლებში

**ორიგინალი ბმული:**
https://vimeo.com/310277294/037b2437cd

**ვიდეორგოლი, ქართული თარგმანით იხილეთ აქ:**
https://drive.google.com/file/d/1kJU6WldZLKeH6lFSj3u93HRYZc9XtlOK/view?usp=sharing

# ვიდეორგოლი 21 | „ტროას მაისური“




**მომზადებულია:**
EXIT-GERMANY-ის მიერ
**ორიგინალი ბმული:**
https://youtu.be/CSIbsHKEP-8
**ვიდეორგოლი, ქართული თარგმანით იხილეთ აქ:**
https://drive.google.com/file/d/1-A8z1VAJFw_jN_8WCanMc33r4Of4FUJA/view?usp=sharing

# სადისკუსიო შეკითხვები

1. თვლით თუ არა აღნიშნულ ვიდეორგოლებში წარმოდგენილ ნარატივებს ეფექტიანად? განმარტეთ, დადებითი ან უარყოფითი პასუხის მიზეზები.
2. რომელი სხვადასხვა საშუალება იქნა გამოყენებული აღნიშნული ნარატივების გასავრცელებლად? რაში მდგომარეობს სხვადასხვა მეთოდის გამოყენების ძლიერი ან სუსტი მხარე?
3. თქვენი აზრით, წარმოადგენს თუ არა ვიდეორგოლების გზავნილები კონტრნარატივებს, ალტერნატიულ ნარატივებს ან მთავრობის სტრატეგიული კომუნიკაციის საშუალებებს? რატომ?
4. ჩარევის რომელ ეტაპს ეხება ნარატივების გავრცელების თითოეული კამპანია (მაგალითად, ზოგადი პრევენცია, ადრეულ ეტაპზე ჩარევა და გადარწმუნება ან დერადიკალიზაცია)?
5. რატომ შეიძლება აღნიშნული კამპანია იყოს გავლენის მქონე? რატომ არა?
6. როგორ შეაფასებდით ამ კამპანიის წარმატებას?

# ნარატივების გამოყენების მოწინავე **მეთოდები:**

- გზავნილის ავტორი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე თავად გზავნილი. ვის შეიძლება ჰქონდეს უფრო მეტი გავლენა?
- ადგილობრივ დონეზე მუშაობა და ადგილობრივი რესურსების მოზიდვა. მიუთითეთ ადგილობრივ დონეზე არსებული ეფექტიანი ნარატივების მაგალითები.
- არ უგულვებელყოთ ძალადობრივი ექსტრემისტების უკმაყოფილების მიზეზები. მოახდინეთ აღნიშნული მიზეზების ტრანსფორმირება ისე, როგორც ისინი აღიქმება და მოიძიეთ მათთვის შესაბამისი საპასუხო ღონისძიებები. რაში მდგომარეობს თქვენი მოქმედება?
- გააძლიერეთ თემის და რელიგიური ნორმები, ნუ შეეცდებით მათი ინტერპრეტაციის დისკრედიტაციას. როგორ ვიპოვოთ პასუხი რისკის წინაშე მყოფ ადამიანებში ნაცვლად იმისა, რომ მოვახდინოთ მათი შემდგომი მარგინალიზება?
- გზავნილების გაზიარების გზით, მოიზიდეთ მონაწილეების ფართო წრე (საჯარო და კერძო ინსტიტუციები, დამოუკიდებელი სტრუქტურები, სამოქალაქო საზოგადოება). როგორ შეგვიძლია გავაძლიეროთ ნარატივები სრული საზოგადოების მასშტაბით მიდგომის გარეშე?

# ძალადობრივ ექსტრემიზმთან **გამკლავების** პროცესში ნარატივების გამოყენებასთან დაკავშირებული რისკები:

• მთავრობებმა შესაძლოა ზოგჯერ მიმართონ ძალადობრივი ექსტრემისტების გზავნილების მსგავსი (მაგალითად, უკმაყოფილების გამომხატველი) გზავნილების გამავრცელებელი პირების სამართლებრივ დევნას ნაცვლად იმისა, რომ პოზიტიურად ჩაერიონ ამ იდეებში, წარმოადგინონ ალტერნატიული ნარატივები და გადაწყვეტის გზები.
• ძალადობრივი ექსტრემიზმის შინაარსის შემცველი მასალის შენახვა შესაძლოა იყოს უკანონო, რაც მათ შესწავლას კიდევ უფრო ართულებს და სარისკოს ხდის.
• კონტრნარატივების შექმნისას, სიფრთხილით მიუდექით ძალადობრივი ექსტრემიზმის შინაარსის გამოყენებას, რადგან შედეგად შეიძლება მიიღოთ ძალადობრივი ექსტრემიზმის ნარატივების გავრცელება.
• მოწყვლადი თემების მარგინალიზება მათში იმ გრძნობის აღძვრით, რომ მათ ღირებულებებს ან შეხედულებებს თავს ესხმიან, ნაცვლად მათი მოსმენისა.
• შეტყობინების გამგზავნის არასწორად შერჩევამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას ნარატივების ეფექტიანობას და გადაიზარდოს ისეთ კამპანიაში, რომელიც დაკარგავს სანდოობას ან პროპაგანდად იქნება აღქმული.

# შეჯამება

- ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებისა და მისი პრევენციის მიზნით გავრცელებული ნარატივები შეიძლება იყოს სხვადასხვა ფორმის.
- ნარატივები არ არის მხოლოდ მედია პროდუქტები, ეს არის ერთდროულად სიტყვა და საქმე.
- ეფექტიანი პოზიტიური ნარატივები, რომლებიც ინდივიდებსა და საზოგადოებებს დაეხმარება, გამოიმუშაონ მედეგობა ძალადობრივი ექსტრემიზმის მიმართ, უკვე არსებობს ადგილობრივ თემებში.
- ნარატივები, რომლებიც ძალადობრივ ექსტრემიზმს ამოძრავებს, ხშირად ვრცელდება ჯგუფებისა და ინდივიდების და არა თავად ძალადობრივი ექსტრემისტების მიერ.
- გზავნილების ავტორები შესაძლოა უფრო მნიშვნელოვანი იყვნენ, ვიდრე გზავნილები.

